ადამიანური რესურსების მართვის როლი ორგანიზაციული კულტურის განვითარებაში

საბანკო სექტორი

ნათია მაჭარაშვილი

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი : გივი ჭანუყვაძე ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო, როგორც სიმულაციური ნაშრომი კვლევის მეთოდებისა და აკადემიურ წერის კურსებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში .

ნათია მაჭარაშვილი

01.07.2021

აბსტრაქტი

დღევანდელ კონკურენტულ გარემოში ორგანიზაციები ცდილობენ მოიპოვონ ისეთი ბერკეტი, რომელიც წარმატების მიღწევაში დაეხმარებათ. განსაკუთრებით საბანკო სექტორში იკვეთება კონკურენტუნარიანი გარემო, სადაც ბანკებს ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები აქვთ. როგორც ბაზართან დაკავშირებული, ასევე შიდა გადამწყვეტი ფაქტორი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ბანკისთვის ეფექტურობის მისაღწევად არის ადამიანური რესურსი და ორგანიზაციული კულტურა.

ნაშრომის მიზანია ადამიანური რესურსების მართვის როლის განსაზღვრა ორგანიზაციული კულტურის განვითარებაში. საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზე აქტივების ფლობის მიხედვით შესწავლილია სამი კომერციული ბანკი: სს თიბისი ბანკი, სს საქართველოს ბანკი და სს ლიბერთი ბანკი და კვლევის შედეგების საფუძველზე შედარებულია მათი ორგანიზაციული კულტურის განვითარების დონე.

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდი. რაოდენობრივი კვლევის მიხედვით გამოიკითხა სამივე ბანკის საცალო საბანკო მომსახურების სფეროდან 150 თანამშრომელი. ხოლო თვისებრივი კვლევა სიღრმისეული ინტერვიუს სახით ჩატარდა სამივე ბანკის ადამიანური რესურსების მენეჯერებთან. დასკვნა გაკეთდა HR მენეჯერების პასუხების კონტენტ ანალიზის საფუძველზე. მეორად მონაცემებად გამოყენებული იყო საჯარო ინფორმაციები, ინტერვიუები, ბანკის ვებ გვერდზე არსებული მონაცემები და ეროვნული ბანკის საიტზე გამოქვეყებული პილარ-3-ის ანგარიშები, რომელშიც შეტანილი ინფორმაცია დადასტურებულია აუდიტის მიერ და ფაილში ინფორმაციის ჩასწორება შეუძლებელია.

დასკვნაში განზოგადებულია კვლევის შედეგები და მოცემულია რეკომენდაციები. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ დადებითი კავშირი არსებობს ადამიანურ რესურსების მართვასა და ორგანიზაციული კულტურის განვითარებას შორის. განვითარებული ორგანიზაციული კულტურა კი პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ბანკის აქტივების ზრდაზე.

საძიებო სიტყვები: თანამშრომლების მოტივაცია, ტრენინგები და განვითარება, სამუშაო გარემო და სტრესის მართვა, საბანკო სექტორის მნიშვნელობა.

Abstract

In today's competitive environment organizations are trying to gain that kind of lever, which will help them to achieve success. Especially in the banking sector there is a competitive environment, where banks have new challenges and opportunities. As market related, also internal deciding factor which has great importance for any bank, to achieve efficiency is human resource and organizational culture. The aim of the paper is to define the role of human resource management in the development of organizational culture and a study of the impact of developed organizational culture on the company, in particular on the growth of assets of commercial banks. On the example of the Georgian banking sector according to asset possession three commercial banks were to be studied: TBC Bank, Bank of Georgia and Liberty Bank. Based on research results the level of organizational culture development of each bank is compared and assets.

Quantitative and qualitative research method was used in the study. According to quantitative research 150 employees from the retail banking sector of all three banks were polled. Whereas Qualitative research was conducted in the form of in-depth interviews with human resource managers of all three banks. The conclusion was made based on the content analysis of the responses of HR managers. Public information was used as secondary data, interviews, existing data on the bank's website and pillar three's bills published on the National Bank website,where the information which is entered is confirmed by the audit and It is impossible to correct information in file. In the conclusion there is generalization of the results of the study and recommendations are given. The results of the study showed, that there is a positive connection between human resource management and the development of organizational culture. The developed organizational culture directly affects the growth of the bank's assets.

Search terms: Coworkers motivation, training and development, work environment and stress management, the importance of the banking sector.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს ბატონ გივი ჭანუყვაძეს, რომელმაც მომცა სწორი მითითებები ნაშრომის წარმატებით დასასრულებლად. მადლობას ვუხდი თითოეულ ადამიანს, რომელმაც მიიღო კვლევაში მონაწილეობა. მათი მხარდაჭერით დავასრულე ნაშრომი. მადლობა ჩემს კოლეგებს, მეგობრებს და ოჯახის წევრებს, ყველას, ვინც მეხმარებოდა მუშაობის პროცესში.